

საქართველოს არქიტექტორთა საერთო ეროვნული პლატფორმა, როგორც კავშირის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა- სტრატეგია მიღებულ იქნა 2014 წლის XXVI - ე საერთო კრებაზე.

წინამდებარე თეზისები -შემდგომში მანიფესტი -წარმოადგენს კავშირის 2014-2017 გეგმა- სტრატეგიის მნიშვნელოვან ეტაპს

მანიფესტში გაცხადებულ საკითხთა სამართლებრივი საფუძვლების უზრუნველყოფისა და კვალიფიციური ქმედებების დაგეგმვის მიზნით, მანიფესტი ეფუძვნება კავშირის მიერ განხორციელებულ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან აქტივობებს და ხაზს უსვამს და მოიცავს კავშირის თითოეული წევრის პერსონალურ პასუხისმგებლობებს, რათა სწრაფი შედეგების მიღწევის მიზნით, შესაძლებელი გახდეს პროფესიული და საზოგადოებრივი ფაქტორების გათვალისწინება და შედეგებზე ორიენტირებული, დროული და რაციონალური საერთო პროფესიული აზრის ჩამოყალიბება.

## საქართველოს არქიტექტორთა საერთო ეროვნული პლატფორმა

საქართველოს არქიტექტორები, ახალი მიდგომებით, პრობლემის დაძლევის სამოქმედო გეგმის შემუშავების და ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის მიზნით ვქმნით საქართველოს არქიტექტორთა საერთო ეროვნულ პლატფორმას.

### პლატფორმის კონტექსტი

პლატფორმა, როგორც საშუალება - „ საზოგადოებრივი ტრიბუნა“ - არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის დარგში ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავების მიზნით ერთის მხრივ ახდენს: სამოქალაქო საზოგადოების, პროფესიონალების, აკადემიური წრეების, კერძო სექტორის, სახელისუფლებო სტრუქტურების კონსოლიდაციას, მეორეს მხრივ თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს: საკითხებზე მათ ჩართულობის, ინფორმირებულობის, კომუნიკაციის, დიალოგის საფუძველზე საერთო შეთანხმების მიღწევას.

კვიციანი ანდროსი

# პლატფორმის სტრატეგია

223

არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი მემკვიდრეობითობის გათვალისწინებით, ქვეყნაში ერთიანი ურბანული პოლიტიკის შემუშავება და ევროპის ურბანულ პოლიტიკასთან ჰარმონიზაცია .

## „არქიტექტურული პლატფორმა“

პლატფორმის მიზნების მიღწევის მოწოდებულია:

- განავითაროს და დაამკვიდროს , საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით, პასუხისმგებლობით აღსავსე არქიტექტურული პრაქტიკა ;
- იზრუნოს, პროფესიული რეპუტაციის ამაღლებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის დამკვიდრებისათვის;
- ხელი შეუწყოს საქართველოში არქიტექტურული განათლებისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.
- მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება- უკეთესი საარსებო გარემოს ფორმირებისას , არქიტექტურისა და არქიტექტორის როლის მნიშვნელობაზე;
- მხარი დაუჭიროს პროფესიონალთა აზრის კონსოლიდაციას ;
- მიმართოს ძალისხმევა, რათა დარგში ოპტიმალური პოლიტიკის შემუშავებაზე და სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაზე მოახდინოს ერთიანი პროფესიული აზრის ზემოქმედება.

## პლატფორმის პრაქტიკული შედეგები:

ერთიანი ეროვნული ურბანული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაფუძნებული, თანამედროვე - მდგრადი ურბანული განვითარებისა და მართვის - მოდელის შექმნა, ისეთ ფუნდამენტალური ღირებულებების გათვალისწინებით, როგორცაა - ადამიანთა უფლებების დაცვა, თანასწორობა, სამართლიანობა, კეთილდღეობა და პასუხისმგებლობა ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე.

პლატფორმა დაეყრდნობა და გაითვალისწინებს დარგში დღემდე შემუშავებულ, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს, მოთხოვნებს და რეკომენდაციებს, კერძოდ: